# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 308

„28" ივლისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის შმაგი ხაიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს (მონაკვეთი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად და მასთან მდებარე შესახვევად) მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში დაღუპული მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის კაპრალი შმაგი ხაიკაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი



X- 491,211.726
Y- 4,612,746.811
X- 491,154.973
Y- 4,612,618.620
X- 491,188.310
Y- 4,612,595.998
X- 491,180.373
Y- 4,612,575.757
X- 491,260.145
Y- 4,612,526.545
X- 491,054.960
Y- 4,612,462.251